80
სამშაბათი, 18 № აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 80
სამშაბათი, 18 აპრილი 1895

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 10 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 1 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 1' . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 9 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წიგნ-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**მართა კეტოს ასული კვიკვიძისა, ალექსანდრე ლუარსაბის ძე კვიკვიძე და სვიმონ საჩინოს ძე კვიკვიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა, მეორე მამისა და მესამე ძმისა პორუჩიკის ლუარსაბ საჩინოს ძის კვიკვიძისას და სთხოვენ მობრძანდნენ 1 გონჩაროვი ქუჩაზედ, საკუთარს სახლში № 18, საიდგანაც მიცვალებული განსვენებული იქმნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 20 აპრილს, საათის ცხრაზედ. პანაშვიდები გარდახდილ იქმნება ყოველ დღე ს ღამოს 7 საათზედ.

(2—1168—1)

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცხადებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა საყურადღებოდ, რომ ბანკის წესდების § 82 მუხლის ძალით საზოგადო კრება დანიშნულია ამა 1895 წ. 9 მაისს, დილით 10 საათზედ, საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის წლიურის ანგარიშისა 1894 წ.

2. მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ შეიცვალოს საზოგადო კრებები წარმომადგენელთა კრებით.

3. მოხსენება იმ შუამდგომლობათა შესახებ, რომლებიც ბანკის მმართველობამ აღძრა წარსულის წლის საზოგადო კრების დადგენილებათა ძალით.

4. განხილვა და დამტკიცება ბანკის მმართვის ხარჯთ-აღრიცხვისა 1895 წლისა.

5. მოხსენება სასამართლო საქმეთა მიმდინარეობის შესახებ.

6. მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებული საზოგადო-სასარგებლო კაპიტალი, რომელიც წმინდა მოგების $35^0/_0$-დგან შესდგება.

7. არჩევანები: მმართველობის ერთის წევრისა, თავ. დავით ივანეს ძის ავალიშვილის მაგიერ, რომელსაც წევრობის ვადა გაუვიდა, იმის კანდიდატისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძისა და თავ. გრიგოლ სარდიონის ძის ციციშვილის მაგიერ, რომელთაც ვადა გაუვიდათ და ამათის ორის კანდიდატისა.

ამასთანავე ერთად ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს ზემოხსენებულის ბანკის ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთ, რომ რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა ამა წლის 2 მაისს იქით აღარ მიიღებიან.

(3—6—1).

## პ ა ს უ ხ ი.

როდესაც ჟურნალ-გაზეთები არ იყო ქვეყანაზედ, მაშინ საკრებულო მოედნებზედ ირჩეოდა ქვეყნის საკითხავები და დღეს-კი უფრო ხშირად ჟურნალ გაზეთებში ირჩევა. მაშასადამე, ღირსია წაკითხვისა ყველა ის შენიშვნა, პასუხი და პოლემიკა, რომელიც-კი ერის ცხოვრების საქმეთა ავ-კარგიანობას ეხება. ამას იმისათვის მოგახსენებთ, რომ დღეს ჩვენში ბევრნი არიან დაშინებულნი იმ ასაღლიან საპოლემიკო ტრაქტატებისაგან, რომელნიც პაწია უმნიშვნელო ორფოგრაფიულს შეცდომას ეხებიან და სხვა არაფერს...

მივე თუ არა ბ-ნს ნ. ველისციხელს პასუხი, იმ დღეებშივე დაიბეჭდა „ივერიის“ 57 ნომერში ბ-ნ ე. მიქელაძის შენიშვნა ქიზიყის სახალხო დეპო-ბანკის პროექტის შესახებავე. ვიფიქრე: შეიძლება სხვებმაც ხმა გამოსცენ ჩემს ძმურს მოწოდებას მოძმეთა სიკეთისათვის და ყველას ერთად გავეპასუხები-მეთქი, მაგრამ ხმა რჩევა გამხნევებისა არსაიდგან მოგვესმა და პასუხმაც დაიგვიანა.

ერთს სოფლის ეკლესიაში ციskრის ლოცვაზედ ერთი მრავალთაგანი ნუღნუღა დიაკვანი ზედი-ზედ აყრიდა ცქლაფა-ცქლუფით: პალო შეგვიწყალე, პალო შეგვიწყალე“! და დიაკვნის კითხვაზედ თავის ქნევით დაიცინებოდა ერთი გაკვირვებული მცა ბიო მლოცავი: „აბა ეგ რაღა დაუწერიათ: პალომ როგორ უნდა შეგვიწყალოსო“!.. „რას ამბობ, კაცო, მაგრე-კი არაღი, იქ უფალო შეგვიწყალე სწერია და „პალო შეგვიწყალეს“ დიაკვანი ნუღნუღებსო“, აუხსნა მეზობელმა. ამისი არ იყოს, ხსენებულის პროექტის მეათე პარაგრაფი ძალიან უგულისყუროდ ამოუკითხავს ბ-ნს ე. მიქელაძეს და თავისს შეცდომით ჩვენვე გვიკიჟინებს წინდაუხედავად.

მეათე პარაგრაფში ასე სწერია სიტყვა-სიტყვით: „პაის კვიტანციები ანუ აქციები დაიბეჭდება სამოცი ათასი (600,000) მანათისა“. როდესაც ფრჩხილებში ჩასმულს (600,000) წინ „სამოცი ათასი“ უწერია, პირველის კლასის მოწაფე მიჰხვდებოდა, რომ 600,000 კორექტურული შეცდომაა და მის ნაცვლად 60,000 იქნებოდა დედანში, მაგრამ ეს ცხადზედ უცხადესიც ვერ გაუგია, ან არ ამოუკითხავს გულ-დაპყრობით ბ-ნს ე. მიქელაძეს და შორს გამჭვრეტელ ბრძენთა ბრძენის სიამაყით-კი ჰბრძანებს ირონიულის კილოთი: „თითო წევრმა ათ-ათი საწევრო მანათიც რომ შეიძინოს, შესდგება 6000 წევრი და ამოდენა წევრი შირაქის ველზედ თუ დაეტევაო!“

გეტყობათ: შირაქის ტრიალი მინდვრები შორიდამაც შეგისწავლიათ, ბატონო ჩემო, და, სამწუხაროდ, ის-კი ახლოდამაც ვერ გაგიგიათ რომ „სამოცი ათასი“ მანეთი ექვსას წილს ანუ წევრს შეადგენს თქვენისავე გამოანგარიშებით და არა ექვსი ათასს, როგორც თქვენა ჰბრძანებთ. ან-კი რა საჭირო იყო ისეთი ორაზროვანი ლაპარაკი, როდესაც იმავე პროექტის 24 პარაგრაფი ამბობს: „ამ პროექტის მუხლთა შეცვლადამატება მოხდება თანხმად წევრთა უმეტესობისა მთავრობის ნება-რთვით“. მაშასადამე, შირაქის ველზე დაც რომ ვერ დატეულიყვნენ წევრები, ხომ შეიძლებოდა მისი წამალიც წესდების მუხლთა შეცვლით?? ევროპის დეპო-ბანკების წესდება-პროექტთა უმრავლესობას სრულიადაც არა აქვს განსაზღვრული წევრთა რაოდენობა, მაშ შეგიძლიანთ იმათაც უკიჟინოთ: მთელი ქვეყანა რომ თქვენს საზოგადოებაში ჩაეწეროს—სადღა დასტევთ-თქო!... ეჰ, ვერ არის კარგი, როდესაც ადამიანი საქმის ბოლოდ რაღაც ლობე-ყორეს მოედება გაუგებრად...

იქვე ჰბრძანებს ბ-ნი მიქელაძე: მე მგონია, რომ ეს ორი დაწესებულება (დეპო-ბანკი) არ შეიძლება ერთის წესდებით წარმოებდესო“. გაიხსენეთ, ბატონო, რომ ეს ერთი წელიწადია თვით უმაღლესი მთავრობავე სცდილობს სასოფლო დეპო ბანკის შეერთებას ეკონომიისათვის. ისიც საკვირველად მიუღია ბ-ნს მიქელაძეს, რომ ხსენებულს პროექტში სამი წევრი და ერთი თავმჯდომარეა დასახელებული და არა ჩვეულებისამებრ ერთი თავმჯდომარე და ორი წევრი. თუ ჩვენ არ დაგვერწმუნებით, რომ სამს კაცზედ ოთხს კაცს უფრო მეტის გაკეთება შეუძლიან და მეტადრე ხალხისთვის ჯერედ უცნობ-ახალს საქმეში, ინებეთ და წაიკითხეთ ევროპის დეპო-ბანკების ისტორია: „Асоціяція“ მიხაილოვ-შელლერისა, „Потребительныя товарищества чиновниковъ въ Англіи“ კონისა, „La cooperation“ ლუი ბერტრანისა, წარსულს წელში პროფესორის იანჟულის რედაქტორობით დაბეჭდილი „Общества потребителей“ და სხვანი და თვით ისენი დაგარწმუნებენ, ბ-ნო მიქელაძე. მხოლოდ როგორც ქიზიყის სახალხო დეპობანკის პროექტი წაგიკითხავთ, ისე უგულის-ყუროდ-კი ნუღარ ინებებთ იმათ წაკითხვასაც, რომ ორჯელ ორი ცხრა აღარ გამოიყვანოთ, ნათლად გამორკვეულის ძირის და სათადარიგო თანხას არეული აღარ დაუძახოთ, პაის კვიტანციის ბოლოდ ტერმინად მიღებული აქცია სააქციონერო საზოგადოების აქციათ აღარ მიიღოთ, ინსტრუქციების დაწვრილებული ახსნა-განმარტებანი მოკლე პროექტის ვალდებულებად აღარ გახადოთ და თქვენი გაუგებრობა სხვის გაუგებრობად აღარ ჩასთვალოთ.

დ. მაჩხანელი.

## ახალი ამბავი

ჩვენ მივიღეთ შემდეგი დეპეშა სადგურ განჯის ქართველთაგან: ცხარეს ცრემლით ვგლოვობთ დაკარგვას მთელის საქართველოსათვის ძვირფასის მოღვაწე დიდის, მწერლის ქალის ბარბარე ჯორჯაძის გარდაცვალებას.

*** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება შეწირვად 10,000 მანეთისა ქართველთა განმანათლებელის წმიდა ნინოს სავანესათვის ბოდბის დედათა მონასტერში.

*** არა იქნა რა და ვერ აილაგმა ტფილისელ ყასბების თავ-გასულობა. ხორცის ავ-კარგიანობას ვილა ჩივის, ნიხრიც აღარ არსებობს მათთვის. მრავალთაგან მხოლოდ ერთს ამბავს მოგახსენებთ, რომელიც მე თვითონ გადამხდა თავზედ: წარსულს შაბათს, სალამოზედ, სალდათის ბაზარში შეველ ყასაბთან, ავაწონინე ოთხი გირვანქა ძროხის ხორცი და გირვანქაში რვა კაპეიკი (როგორც ნიხრია) მინდოდა მიმეცა. ყასაბმა ფული უკან გამომიბრუნა და ზედაც დაუმატა: „ჩვენ რვა კაპეიკიანი ხორცი არა გვაქვსო. თუ გნებავთ გირვანქაში ცხრა კაპეიკი მომეციო“. მე არ დავთანხმდი და ბევრის ლაპარაკის შემდეგ უკანვე გამოვბრუნდი და იქავე ერთს პოლიციის მოხელეს ვსთხოვე გამომყოლოდა ზემოხსენებულს დუქანში.—პოლიციელი სიხარულით დამთანხმდა და დამარიგა: „შენ დუქანში შედი, მე გარედგან დაგზვერავთ, რამდენიც გთხოვოს გირვანქაში მიეცი, მე უცებ შემოვალ და ფულით ხელში იმ ყასაბს პოლიციაში წავიყვანო. ამ გვარად თუ მოიქეც, ფულიც უკან დაგიბრუნდება და ხორცი კიდევ მეტი იქნებაო. მე, რასაკვირველია, დავსთანხმდი. შეველ დუქანში, გადავუთვალე გირვანქაში ათი კაპეიკი (ცხრა კაპეიკის მაგიერ) და ველოდები: აი ან ეხლა დაეცემა მართლმსაჯულების რისხვა ამ ყასაბს, ან ეხლა-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, პოლიციელი არსად გამოჩნდა. გამოველ გარეთ, აღარც იქ არის პოლიციელი, ამგვარად ამ ჩემმა ქკუის დამრიგებელმა ყასაბთან ერთად მომატყუა.

*** თხუთმეტს აპრილს, საღამოთი, ქალაქის საბჭოში მოხდა კერძო რჩევა ქ. ტფილისის ხმოსანთა, რომელზედაც ორმოცი კაცი გამოცხადდა. ქალაქის მოურავად ხმის უმეტესობით თ. ნ. ვ. არღუთინსკი დოლგორუკოვი იყო დასახელებული.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება დანიშნულია სამშაბათს, 18 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, რომელზედაც მიწვეულ არიან წევრნი ამა საზოგადოებისანი.

კრება განიხილავს მიმდინარე საქმეებს, კომისიის მოხსენებას მინცლოვის პროექტის შესახებ, რომელიც ღვინოზედ ბეჟის დადებას შეეხება, მოხსენებას ა. ბ. ევანგულოვისას „კავკასიაში პურით ვაჭრობის შესახებ იმ ცნობებიდგან, რომლებსაც კავკასიის რკინის გზის ანგარიშები იძლევა,“ და მოხსენებას ი. ზ. ანდრონიკაშვილისას „შესახებ იმისა, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნას ბიურო, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეთ თვისს ნაწარმოებთა გასყიდვაში.“

*** შემოქმედი: აქ ყოველს წირვაზედ, ყოველს ბედნიერს დღეს, იმის მაგიერ, რომ ხალხი ეკლესიაში შევიდეს და სასოებით ილოცოს, წმიდა გიორგის ეკლესიის გალავნის შეკეთება და მის მიდამოში საფლავების დაყოფა გახდომიათ სალაპარაკოდ და საჩხუბრად, ასე რომ მღვდელი რომ ეკლესიაში დგას წირვაზედ, ხალხი გარეთ ერთმანეთს ლანძღავს და თავ-პირს ამტვრევს. აი ესეც ერთი შედეგი ჩვენის წინ-მსვლელობისა.

*** იქიდამვე: ამ უკანასკნელს დღეებში გამუდმებით ავდრობს ჩვენში, აცივდა და გამოტანილი ყვავილი გასცვივდა ხეხილს. ლაზარე მგელაძეს თაოსნობით ამ წელს ჩვენს სოფელში დაარსეს ორ-კლასიანი სკოლა.

*** სოფ. ალიბეგლო, (საინგილო): აქ სწავლა-განათლების საქმე სრულიად გაფუჭებულია; სწავლა მეტ ბარგად მიაჩნია ხალხს და მთელი თავისი ჭკუა და მეცადინეობა შეულევია, რომ მხოლოდ ეკონომიურად დაწინაურდეს. ვაი იმისი ბრალი, თუ რომელსამე ინგილოს სწავლა მიუღია და ვერ-კი გამხდარა სახელმწიფო სამსახურის მოხელედ. ამისთანა კაცს აღარაფერს უჯერებენ, რაც გინდა კარგი სთქვას, პირ-იქით ზიზღით უყურებენ და ყოველი მისი ქცევა, აზრი და მოქმედება ცრუპენტელობის ნაყოფია ინგილოების ფიქრით. ამ აზრს მტკიცედ ადგა ძველი თაობა, რომელიც ყოველს შემთხვევაში სცდილობს დაარწმუნოს მოზარდი, რომ ნასწავლს კაცს ჭკუა არა აქვს.

რომელ ნიადაგზეა აშენებული ზემო-მოხსენებული მოსაზრება ინგილოებისა არ ვიცი, ხოლო ეს რომ მართალია, ეჭვს გარეშეა. აი ამ შემთხვევაში არის საჭირო ის ხალხისათვის გულ შემატკივარი განათლებული ყმაწვილ-კაცობა, რომელთა რიცხვი ჩვენში არ არის ნაკლები. მათ შეუძლიანთ გააქარწყლონ ხალხის ამისთანა სიძულვილი სწავლა-განათლებისა. მაგრამ ვნახოთ, აბა რამდენნი გამოჩნდებიან ამისთანანი?

** თელავი: ამაღლების ეკლესიაში ყოველს კვირა უქმე დღეს იასონ ხახუტაშვილის ლოტბარობით გალობს ხოლმე ახლად შედგენილი ხორო. მაგრამ გარდა „უფალო შეგვიწყალესი“ მთელის წირვა-ლოცვის საგალობლებს—რუსულად გალობენ. რასაკვირველია, დიდის მადლობის ღირსია ბატონი ლოტბარი, მაგრამ კარგს ინებებდა, რომ ქართულის გალობისათვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია, რადგანაც ამ ეკლესიის მრევლი თითქმის სულ ქართველები არიან.

** ქიზიყი: ეს მესამე კვირაა, რაც ავდრობს ჩვენში; აღდგომის დღეს თოვლიც-კი გვეწვია. სიცივემ ჭირნახული დაგვიზიანა. ალაზანი ადიდდა და ნათესებით სავსე მიდამოები წალეკა.

დეპო მამაცურად უმკლავდება აქაურ ვაჭრების გაიძვერობას, ხოლო გვეშინიან-კი ციხე შიგნიდამ არ გატყდეს. სხვა-ფრივ მშვიდობიანობაა. ჩვენის სოფლის ინტელიგენცია შემძვრალა სახლებში და გარედ არ გამოდის, ჩვენთვის არც თეატრი, არც კონცერტი და არც სხვა რამ ჭკუის დასაკმაყოფილებელი არ არის. სამაგიეროდ ღვინოს ბევრსა ვსვამთ და ბევრი გვძინავს.

## გარდაცვალება და დაკრძალვა კნეინა ბარბარე დავით ერისთავის ასულისა და თ-დის ზ. ჯორჯაძის მეუღლისა.

კნ. ბარბარე დავითის ასული ჯორჯაძისა აგერ სამი წელიწადია, რაც თავისის რძალით და შვილის შვილებით სცხოვრობდა ქ. თელავში. განსვენებულის შვილი მიხეილი სამსახურის გამო სცხოვრობს ლენქორანში. 10 აპრილს კნ. ბარბარე რძალით და შვილის შვილებით გაემგზავრა ტფილისისაკენ, საიდგანაც ლენქორანში შვილთან წასვლას აპირებდა. მართალია, განსვენებული ამ უკანასკნელს ორს წელიწადს შიგ ჭრელად ავადმყოფობდა, მართალია, ენკენისთვიდგან 1894 წ. მისი ავადმყოფობა უფრო გაძლიერდა, მაგრამ წასვლის წინა კვირას იქნობამდის კარგად ჰგრძნობდა თავს, რომ თავისის ხელით ალაგებდა საგზაო ბარგს. მისი ავადმყოფობა გულის ავადმყოფობა იყო და ამიტომ ძნელად გამოსარკვევი ნამდვილის მდგომარეობისა. ეს არის მიზეზი, რომ მისს კარგად ყოფნას შეჰხაროდა მისი წვრილ-შვილი რძალი, თავს ევლებოდნენ მცირე წლოვანი მოტიტინე შვილი-შვილები და ბებიას კალთას აღარ შორდებოდნენ. ასეთს მდგომარეობაში გამოესალმნენ კნ. ბარბარეს მისი ახლო მცნობნი და გაისტუმრეს ტფილისისაკენ ორის ეტლით, დილით ექვს საათზედ. ეტლები ნაბიჯით გაუდგნენ გზასა და მთელი გზა გარიგებისამებრ ნაბიჯით იარეს. გზაზედ იქნობამდის კარგად გრძნობდა თავს განსვენებული, რომ ეთქვა: „მცოდნოდა ასე მომიხდებოდა მგზავრობა, ორის კვირით ადრე წამოვიდოდი და აღდგომას შვილთან გავითენებდი“-ო. შუადღის თორმეტ საათზედ გომბორს მისულიყვნენ. იქ იყო დანიშნული ღამის გათევა. მთელი დღე შუადღის შემდეგ დილამდის კარგად ყოფილიყო, ხოლო, როგორც წინად, ძილი არა ჰქონდა, რაც შეადგენდა ერთად-ერთს საჩივარს. ექიმებს ყოველთვის ამას სთხოვდა, ძილის წამალი მომეცითო, მე სხვა არა მიჭირს-რაო. ექიმიც მცირე რამ ბანგს ასმევდა, მაგრამ არ აძინებდა, ანუ არა სჭრიდა. მეტის მიცემა-კი სავნებლად მიაჩნდა. დილით ყველასთან ერთად მომზადებულიყო სამგზავროდ და რძლის შემწეობით ასულიყო ეტლზედ, ჩამჯდარიყო და მაშინვე მოსვლოდა გულის ქშენვა, მცირე ხნის შემდეგ გული წასვლოდა. ბევრი საშუალება ეხმარათ, მაგრამ ყოველივე ამაო გამხდარიყო, ველარ მოებრუნებინათ. წარმოიდგინეთ, ამისთანა გარემოებაში წვრილ-შვილი ახალგაზდა ქალი უკაცოდ და უპატრონოდ, ერთის მოსამსახურე დედაკაცის ანაბარა! მაგრამ გაჭირვებას აქაც მხნეობა გამოუჩენინებია, ამ ახალგაზდა ქალმა მოახერხა უკანვე დაბრუნება, თუმცა, როგორც მიხვდება მკითხველი, ბევრი დაბრკოლება გადაჰღობებია წინა. ამასთან მოახერხა, შეეტყობინებინა თავისის მეულისათვის, რომელიც ამ დროს იმყოფებოდა სოფ. ენისელში. ქ-ნი მანანა გეხტმანისა (ქალიშვილი გარდაცვალებულისა) დაუყოვნებლივ გამოვიდა თელავს და მიიღო მიცვალებული 11 აპრილს საღამოთი.

დაკრძალვა გადიდო აპრილის 14-სათვის. ყოველ დღე დილით და საღამოთი სრულდებოდა პანაშვიდი პატივცემულთა თანადასწრებით. 14 დილით 10 საათზედ გამოასვენეს წირვის მოსასმენად თელავის სობოში. წირვას და ანდერძს დაესწრნენ ნათესავების გარდა თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. მაყაშვილი, თავად-აზნაურობა, მასწავლებელნი და სხვა პატივის-მცემელნი განსვენებულისა. წირვაზედ გალობდა სასულიერო სასწავლებლის ქართველ მგალობელთა დასი, რომელსაც ლოტბარობდა გალობის მასწავლებელი გ. წიკლაური. მგალობელთ მშვენივრად იგალობეს მთელი წირვა, ანდერძი და განსაკუთრებით ზარით სათქმელი „წმ. ღმერთო“. კნ. ბარბარე დაკრძალულ იქმნა თელავის საზოგადო სასაფლაოზედ. წირვის შემდეგ სიტყვა სთქვა გალობის მასწავლებელმა გ. წიკლაურმა,- რომელიც აქვე მომყავს:

„ძველად განათლებულს ევიპტეში მეჯლისის, გაჩაღებულ ლხინის დროს გამოიტანდნენ ხოლმე ადამიანების გამხმარს თავებსა. ამ ჩვეულების დედა აზრი აყო, რომ ლხინით გატაცებულთ არ დავიწყებოდათ თვისი მომაკვდავობა და არ გამოსულიყვნენ ადამიანობის მოვალეობისაგან.

ჩვენ ეს ჩვეულება არა გვქონია, მაგრამ ძველის-ძველად ჩვენი ერი გარდაცვალებულთა პატივის-მცემელი ყოფილა. ეს პატივის-ცემა იქამდის დიდ-ხარისხოვანი იყო, რომ მრავალჯერ გამხდარა ერის სულის ჩამდგმელად მტერთან ბრძოლის დროს. დღეს ჩვენ წინაშეც არის მიცვალებული. ამისი ხილვა უნებლიედ მოგვაგონებს იმის ვინაობას. თ ითეულ ჩვენგანის გონებაში ელვასავით გაირბენს ყველა ის, რაც მის პიროვნებას შეეხება, რა კვალიც დამჩნევია გარდაცვალებულს ჩვენს გრძნობასა და გონებაში. კერძოდ თითოეულმა ვიცით რომელიმე ხანა გარდაცვალებულის ცხოვრებისა და ყველამ-კი ერთად ვიცით, რომ კნ. ბარბარე საზოგადო მოღვაწე იყო ჩვენს მწიგნობრობაში. მარტო მისი სამწიგნობრო მოღვაწეობა ისეთი მნიშვნელობიანია, საკმარისია, გამოიწვიოს ჩვენს შორის ღრმა პატივის-ცემა, თუ ულირსნი შვილნი არა ვართ სამშობლოსი; საკმარისია, ამ მხრივ გავიხადოთ იგი მაგალითად, მივუთითოთ ჩვენს ქალებს და მოვახსენოთ: ხედავთ, თქვენს წინაშე მდებარე კნ. ბარბარეს? არც ერთს სკოლაში განათლება არ მიუღია, მაგრამ აღზრდილა ისეთს ოჯახში, რომელსაც ჩაუნერგავს მის გულში დაუძლეველი და მუდმივი სიყვარული სამშობლო ენისა და ერისა. ეს უძლეველი სიყვარული გამხდარა ქვა-კუთხედად დაუღალავის თვის განვითარების სურვილისა, რომლის შედეგიც იყო მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. იმავე ოჯახის შვილია განსვენებულის ძმა თ-დი რაფაელი. აქ ორი რამ არის ფრიად საყურადღებო და სამაგალითო: ერთი, რომ ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის მოზარდთა მომავალზედ. მოზარდთა ავ-კარგიანობა ოჯახის ავ-კარგიანობაზედ მტკიცედ არის გადახლართული. მეორე, რომ სკოლის გარეთაც შეიძლება გონების განვითარება და საზოგადო მოღვაწეობა. მაშასადამე, საჩივარი აწინდელის სკოლების შეუფერებლობისა, რაც უნდა სამართლიანი იყოს, მაინც ვერავინ იმართლებს ამით თავსა. უტყუარი საბუთი ამისი თვალწინა გვაქვს. კნ. ბარბარე ამ მხრივ პირველი და თვალ-საჩინო მაგალითია ჩვენის ქალებისათვის ამ მეცხრამეტე საუკუნეში. იგი ერთად ერთი არ არის ჩვენდა სასიქადულოდ, მაგრამ მესვეური-კია ამ საქმეში. იგი ბეჯითად გვარწმუნებს, რომ ქალის დანიშნულება მარტო გარეგანი მშვენიერება არ არის, როგორც ბევრსა ჰგონია, რომ ქალის უაღრესობა და ანგელოსებრივი ძალა შინაგან მშვენიერებაზედ არის დამყარებული; რომ მეორე მშვენიერებას მრავალი უპირატესობა აქვს წინაშე პირველისა, რომელთაგან ერთიც რომ დავასახელოთ, საკმარისია, ერთი მეორეს ვამჯობინოთ. ეს ერთი უპირატესობა გახლავთ იგი, რომ გარეგანი მშვენიერება წუთიერია, მალე წარმავალი და ხშირად არ მოკლებული დიდ-დიდს ნაკლულევანებას, ხოლო შინაგანი მშვენიერება არის ხანგრძლივი, ხშირად უკვდავი, მარადის უნაკლულო და კეთილ-ნაყოფიერი. კეთილ-ნაყოფიერება მისი გარდმომავალია, სამემკვიდროა, დედაა და მიზეზი სახალხო გმირთა დაბადებისა და ამისათვის ყოველთვის უაღრესი, ღირსი, სათაყვანებელი.

აი, სწორედ ამ მშვენიერებით არის შემკობილი კნ. ბარბარე და ამიტომ ყველასაგან და განსაკუთრებით ჩვენის ქალებისაგან საუკუნოდ პატივ-საცემელი და ყოველთვის პატივით მოსაგონებელი.

კურთხეულ იყოს სახელი და დატოვებული კვალი კნ. ბარბარესი.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

ანდერძის დროს სთქვა გრძნობით სავსე სიტყვა თელავის ტაძრის მღვდელმა მ. იოანე შიუკაშვილმა, რომელმაც დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა განსვენებულის ოჯახს და ბევრნაირად გაუწია პატრონობა, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსია. სიტყვას მ. შიუკაშვილისას ამასთანვე ვუგზავნი რედაქციას დასასტამბად.

განსვენებულს დარჩა ხელთ-ნაწერები, რომელსაც, როგორც დაგვპირდნენ, გადმოგვცემენ ამ მოკლე ხანში და, რაც ღირს-შესანიშნავი იქნება, მკითხველს საზოგადოებას გავუზიარებთ და თვით ნაწერებს დასაცავ გამოვუგზავნით წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, თუ მემკვიდრენი ნებას დაგვრთვენ.

ი.

## კორესპონდენცია.

**ქ. თელავი.** 7 ამ თვეს აქაურ საზოგადოების საკრებულოს დარბაზში (კლუბში) ესტეტიკურ ხელოვნებათა მოყვარულებმა კნეინა ვიზირიშვილის თაოსნობით, გამართეს სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. შემოსავალი ამ საღამოისა დანიშნული „კლუბის“ სასარგებლოდ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საზოგადო დაწესებულება კარგა ხანია, რაც დაარსდა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, როგორც საერთოდ თელავის ყველა საზოგადო დაწესებულებათა სჩვევია, დარი ვერ დაუდგა, ასე რომ მისი საქმე ზერა-ქვეად გახლდათ და ეხლა-კი გასაქრობლად მიწურულა. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ წევრები ძალიან ცოტა ჰყავს. მართალია, თელავის საზოგადოება მაგრე რიგად გულმხურვალე არ არის თვის მიერვე დაარსებულ საქმისადმი, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არ გაიმტყუნება. თელავის კლუბი სრულიადაც არ ასრულებს თავისს დანიშნულებას და ამის მიზეზად თვით საქმის მეთაურნი უნდა ჩაითვალონ. ამ დალოცვილებმა „კლუბი“ ბანქოს სათამაშო სახლად გარდააქციეს და სხვა შემაქცევარი მოვლენა მთლად გააძევეს, ასე რომ იშვიათად თუ გაიმართება ხოლმე საცეკვაო საღამო, ანუ კონცერტი და სხვ... ამ რამდენისამე წლის წინად დიდ-მარხვის ყოველ შაბათობით სალიტერატურო საღამო იმართებოდა და იმით მაინც იქცევდნენ თავს წევრთა ოჯახები, მაგრამ ეხლა მხოლოდ „ლოტო“ და „ბანქო“-ღა დათარეშობს „საკრებულოს“ დარბაზში. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ „კლუბის“ წევრთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო თან-და-თან. ეს მდგომარეობა იმ ჟამამდის გაგრძელდება (რასაკვირველია, თუ „კლუბმა“ სული არ განუტევა) ვიდრემდე ამ დაწესებულებას ხასიათი არ შეეცვლება. აუცილებლად საჭიროა, რომ მას „ოჯახური“ ელფერი ჰქონდეს და საზოგადოების შემაერთებელ სახლად გარდაიქცეს, მაშინ, ეჭვს გარეშეა, იმის გარდა, რომ თვით იგი გაიმართება წელში, ამასთანავე სხვა ერთი-ორი სასიკეთო საქმე კიდევ დაარსდება, რადგანაც შეერთებულის ძალით მომქმედი საზოგადოება მარტო ერთს საქმეს არ დასჯერდება და სხვასაც შეჰქმნის!.. არა ერთისა და ორისაგან გაგვიგონია ჩივილი კლუბის მიმართულების შესახებ და ეს უტყუარი მოწამეა იმისა, რომ საზოგადოება თანაუგრძნობს ამ დაწესებულებას, მხოლოდ განზედ გაურბის იმიტომ, რომ იგი ყოველის წევრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ახლა ორიოდე სიტყვა თვით საღამოს შესახებ.

დამსწრე საზოგადოება ძალიან ასიამოვნა კნეინა ვიზირიშვილისა და ქ-ნ შირსკაის პიანინოზედ სხვა-და-სხვა სამუსიკო ნაწარმოების დაკვრამ. განსაკუთრებით-კი საზოგადოება აღტაცებით მიეგება მომღერალ და მამაკაცთა მცირე გუნდს, რომელიც შესდგებოდა კნ-ინა ჭავჭავაძისა, ქ-ნთ სულხანიშვილისა და შიუკაშვილისა და ბატონთ — შიუკაშვილისა და მამალაძისაგან. ხორომ მშვენივრად იგალობა ქართული ხმები: „შევსვათ წითელ წითელი“, „ნანა“, „საიდუმლო ბარათი“ და ჩემო „სამშობლო“. აგრეთვე ქალბატონებმა სულხანიშვილისამ და შიუკაშვილისამ ქართულად ლექსები წაიკითხეს. მეტად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენი ახალგაზდა ქალები, წინააღმდეგ დაობებულ ჩვეულებათა, არა თაკილობენ და ჰბედავენ სცენაზედ გამოსვლას. იმედია, ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნება და იგინი კვლავ დაგვატკბობენ ჩვენ თავიანთის „ციურის“ გალობით. შემოსავალი შვიდ თუმანზედ მეტი იყო.

ინ-ზენ.

**სამეგრელო.** საზოგადოდ, სასოფლო სკოლების დანიშნულება ის არის, რომ ღარიბთ სოფლელთა შვილებს შეასწავლოს წერა-კითხვა დედა-ენაზედ, რომელიც ხალხისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს და წერა კითხვა სახელმწიფო ენაზედ. ამ უკანასკნელის სწავლება უნდა ხდებოდეს უადვილეს—ბუნებრივ მეთოდით—დედა-ენის დახმარებით, რომ მცირე წლოვანთ მოსწავლეთ გაუადვილდეს უცხო ენის სწავლება. ვისაც აქვს შეძლება სწავლა განაგრძოს სამოქალაქო სასწავლებელში, მას სასოფლო სკოლა მოამზადებს მოსამზადებელს კლასში შესასვლელად.

ჩვენს სკოლებში დედა-ენის სწავლება სულ აკრძალულია და მთელი სწავლის სარბიელი დათმობილი აქვს სახელმწიფო ენის შესწავლას და ისიც სასტიკის მეთოდით—დედა-ენის დაუხმარებლად. ამ უცნაურის, არა ბუნებრივის მეთოდის მეოხებით და წყალობით ჩვენი მოწაფენი ძალიან ნაკლებად ითვისებენ სახელმწიფო ენას, ასე რომ ვისაც შეძლება არა აქვს სწავლა განაგრძოს სხვა სასწავლებელში, მას ნასწავლი მალე ავიწყდება, რამდენიმე წლის ნაშრომი უნაყოფოდ და უსარგებლოდ ეკარგება. აი ამ გარემოებამ დაუბადა მდაბიო ხალხს აზრი, რომ სკოლა უნაყოფო დაწესებულება არისო და მისთვის, რომ ჩვენის ხალხის უმრავლესობა სკოლას ეკიდება გულ-გრილად და მისს დაარსებაზედ ხშირად უარს ამბობს.

რომ ამ სამწუხარო გარემოებას მოეღოს ბოლო, საჭიროა მთელმა ჩვენმა ხალხმა, განურჩევლად წოდებისა, ითხოვოს უმაღლესის მთავრობის წინ ჩვენის ქვეყნის სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესება დედა-ენის ქართულის სწავლების შემოღებით და სამეურნეო განყოფილების დაარსებით სკოლებში. ფრიად საჭიროა ამ თხოვნას ჩვენმა ხალხმა დაუჩქაროს, თორემ მომავალში შეიძლება თხოვნა, შუამდგომლობა ამ საგანზედ მოუხერხებელი გახდეს და მოგვესპოს იმედიც იმისს დაბრუნებისა, რაც ათასის წლობით სარწმუნოებასთან ერთად გვაკავშირებდა მეგრე-

ლებს ქართველის მოდგმის თემებთან, რაც შეადგენდა ჩვენს წმიდა-წმიდათას.

დიმ. ბ—ია.

—

**რაჭა.** „ივერიის“ მე-71-ე №-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია შესახებ რაჭის მაზრის სამის საზოგადოებისა, სახელდობრ: ველევისა, ამბროლაურისა და წესის შეერთებისა. კორესპონდენტი მოგვითხრობს: „ამ სამმა საზოგადოებამ კანცელარია ხიმში ააშენაო და ახლა სკოლის აშენებაზედ აქვთ დიდი უთანხმოებაო“. დიაღ, ბატონო კორესპონდენტო, თუ სკოლა ათს ვერსზედ ააშენეს ველევიდგან, უეჭველად უთანხმოება მოხდება და ეს სულ იმათი ბრალია, ვინც არა კეთილ სინდისიერად მოქმედებს ამ საქმეში და პირად სარგებლობას გაუტაცნია; მეორეც ესა, ველევს მხოლოდ ამბროლაურთან უნდა შეერთება და არა წესთან. იმედი გვაქვს, ყურადღებას მიაქცევს ამ ურიგობას, ვისიც ჯერ არს და სკოლას მაინც აღარ აგვიშენებენ ველევიდგან ათის ვერსის სიშორეზედ და მით ჩვენს ყმაწვილებს არ ჩააგდებენ უნუგეშო მდგომარეობაში.

ბეთლეველი.

## პასუხი გ. ლაზარიშვილს.

1, ჩემი შენიშვნა შეიცავდა არა თქვენის დრამის „მტარვალის“ გულ-დასმით და დაწვრილებით გარჩევას, არამედ საყვედურს მსახიობთა მიმართ, რომელნიც არა სცდილობენ საუკეთესო პიესების წარმოდგენას იმ დროს, როდესაც ქართულს თეატრს ჩვენი საზოგადოება გულ-გრილად ეპყრობა; გაკვრით-კი იყო ნათქვამი, რომ „მტარვალი“ სუსტი და შეკონწილი პიესაა-თქო.

ამ ჩემს შენიშვნას ვიმეორებ სრულიად შეუცვლელად და მისის სიმართლის დასაბუთებას ყოველ-გვარის პასუხის გების დროს ვკისრულობ.

2, თქვენ გვიბრძანებთ: „ჩვენ ვერა ვისწავლეთ-რა თქვენის რეცენზიიდგანაო“. უნდა მოგახსენოთ, რომ სახელ-მძღვანელოს წერა დრამებისა და ტრაგედიების შესახებ მე არც განმიზრახავს, არც განზრახვა მაქვს და ვერც შევძლებ მისს შედგენას, ისე როგორც თქვენ. თუ ამ წესის შესწავლა და შეთვისება გინდათ—მიმართეთ განათლებულ ერთა ლიტერატურას, კრიტიკას, ისტორიას და სხვა და მაშინ სურვილამდისაც მიაღწევთ და ცხადად დაინახავთ, რომ თქვენი „მტარვალი“ დრამად არ ვარგა.

3, თუ მაინცა-და-მაინც თქვენის „მტარვალის“ ნაკლულოვანების და უვარგისობის დაწვრილებით გაგება გსურთ—წაიკითხეთ წერილები ამის შესახებ ამ სამის წლის წინად დასტამბული მანოულაძისა და ფურცელაძისა და მაშინ ყოველივე თქვენთვის ცხადი იქმნება.

4, „ცილის წამებად ჩამოგვრთმევთო“, გვიბრძანებთ თქვენ. სანამდის ასეთის მუქარებით აღიჭურვებოდეთ ხოლმე, გირჩევთ მიჰმართოთ სხვა-და-სხვა სახელმძღვანელოს სჯულდებისას, საიდგანაც შეგიძლიანთ რიგიანად განსაზღვროთ და შეიგნოთ, თუ რა არის ცილის წამება და რა პირობანი არის საჭირო მის დასამტკიცებლად და დასასჯელად...

5, საშინელი ცილის წამება-კი იქნება, თუ ვსთქვი, რომ „მტარვალი“ „სამშობლოს“ პირ-და-პირი შედეგია; დაწერილია იმ შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ, რაიცა „სამშობლომ“ მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზედ. ანუ და ის ხომ არ იქმნება ცილის წამება, რომ უკანასკნელი მოქმედება „მტარვალისა“, როდესაც „სასჯელის მოედანზედ გამოდიან ქართველები ლიტანიით, იგივე, სწორედ იგივე მეხუთე მოქმედებაა „სამშობლოსი“, იმავე სურათით და იმავე გრძნობისა და მისწრაფების გამოსაწვევად შედგენილი.

ამის მეტი თვით ბ-მა ა. ფ—მაც ვერა ნახა-რა მაინცა და მაინც თქვენს „მტარვალში“ სადიდებელი, თუმცა მისმა დახელოვნებულმა კალამმა მფარველობა გაუწია მას.

ის ხომ არ იქნება, თქვენის ფიქრით, ცილის წამება, თუ ვსთქვით, რომ ზოგიერთი ადგილები „მტარვალისა“ მცირე რუსთა დრამა „Невольникъ“-დგან არის ამოკრებილი და სხვა.

შეიძლება თქვენა ბრძანოთ, რომელი წინადადება, რომელი სიტყვა იქაური ჰგავს აქაურსა, მაგრამ იმედია, არ დაივიწყებთ, რომ მარტო სიტყვების გამოცვლა, წინადადებათა გადასკუპ-გადმოსკუპება ვერ შესცვლის შთაბეჭდილებას, ვერავის აუხვევს თვალს და „შუბს პარკში ვერ დამალავს“.

თეატრის მოყვარული.

## რუსეთის ცხოვრება.

—

სამინისტროს პროექტი ოქროს ფულის შემოღების შესახებ, გაზეთების სიტყვით, შემდეგია.

1) ნება ეძლევათ ყოველივე გარდასახადი ოქროთი იქმნეს გარდახდილი, რასაკვირველია, კურსის მიხედვით და მიმღების თანხმობით-კი, მაგალითად: თამასუქით უნდა ჩააბაროთ 1,000 მანეთი ვერცხლის ფული, მოვალეს შეუძლიან ოქროს ფულით გადაიხადოს ვალი და ათასის მანეთის მაგიერ, კურსის მიხედვით, მოგცეთ 674 ოქროს მანეთი, ან 135 ხუთ-მანეთიანი ოქრო, თუ საზოგადოდ ფულის გამსესხებელმა არ მოინდომა, რომ 1,000 მანეთი უთუოდ ქაღალდის ფულით იქმნას გარდახდილი.

2) თამასუქებში, ნასყიდობის ქაღალდებში, გირავნობის მოწმობებში და ხანგრძლივ ვადიან სესხებში ნებადართულია ჩაიწეროს ოქროს მანეთები, რაც აქამდის აღკრძალული იყო. ხოლო თუ მოვალეს უნდა, რომ ვალი ქაღალდის ფულით გარდაიხადოს, მაშინ გამსესხებელს არ შეუძლიან უარი უთხრას, მაგრამ ოქროს ფულის კურსზედ იანგარიშებენ ქაღალდის ფულს. წარმოვიდგინოთ, რომ გირავნობის მოწმობაში, რომლითაც 10,000 ოქროს მანეთი უნდა გარდაიხადონ 4%-ით, მოვიდა ვადა ერთის წლის სარგებლის გარდახდისა. მოვალემ უნდა გადაიხადოს 400 მანეთი ოქროთი ან 80 ხუთ-მანეთიანი ოქრო. ხოლო მოვალეს, როგორცა ვსთქვით, შეუძლიან ქაღალდის ფულითაც გადაიხადოს, მარტო კურსის მიხედვით-კი. ერთი ოქროს მანეთი კურსითა ღირს ქაღალდის მანეთ-ნახევრად.

3) ეს უფლება არ ეძლევათ მხოლოდ გლეხებსა და მოქალაქეთ, რომელნიც მოვალენი არიან ისევ ქაღალდის ფული აბარონ. პირველი და მეორე გილდიის მოვაჭრეთ ოქროთი შეუძლიანთ აღებ-მიცემობა.

4) ქაღალდის ფულის კურსი განისაზღვრება მახლობელის ბირჟის ბიულეტენის მიხედვით. თუ გამსესხებელს და მოვალეს უთანხმოება მოუხდათ კურსის თაობაზედ, მაშინ ფული უნდა გადიხადოს იმ კურსის მიხედვით, რომელიც აღნიშნული იყო პეტერბურგის ბირჟაზედ ფულის სესხების დღეს.

5) ყოველ-დღიურის კურსის მიხედვით ქაღალდის ფულის გარდახდა არა ვრცელდება სახელმწიფო ბანკებზედ, თუ ბანკში ოქროს ფულია შეტანილი. ბანკმა ოქროთივე უნდა აძლიოს ფული.

6) ახლო მომავალში განზრახვა აქვთ შაქრისა და ნავთის აქციზი ოქროთი იქმნეს ხოლმე გარდახდილი და შემდეგ-კი ყოველგვარი სახელმწიფო გარდასახადი ოქროთი იქმნება. კურსი, რომლითაც ხაზინა ქაღალდის ფულის მაგიერ ოქროს ფულს მიიღებს ხოლმე, დადგენილი იქმნება ფინანსთა მინისტრისაგან ერთის ან რამდენიმე თვის ვადით, გარემოებათა მიხედვით.

## ასოთ ამწყობთა ხელობის გამო.

—

გაზეთს „ნოვოსტში“ ვინმე ბ-ნი გარრი ლაპარაკობს ასოთ-ამწყობებზედ და, სხვათა-შორის, ამბობს ამ პატიოსან მუშაკებზედ:

ასოთ-ამწყობის ხელობაა კეთილშობილური ხელობა. ისინი ემსახურებიან განათლებას. მაგრამ მათი შრომა შრომაა სატანჯველი, ვით კატორგაში, ჯეროვნად არა ფასდება. მთელი თორმეტი საათი და ხშირად მეტიც ფეხზედ დგანან და ერთმანეთს აწვდიან ასოებს. ჰყლაპავენ ჯანმრთელობისათვის ფრიად მავნებელს მტვერს; ჰყნოსავენ აუტანელს სუნს და ჭუჭყს, რომელიც სტამბაში სასმელებს წამალს ასდის. ატანენ ძალას თვალს ბ-ნ მწერლების ხშირად გაურკვეველ ნაწერების გასარჩევად“.

და როგორ ფასდება მათი ამნაირი შრომა?

ათას ასოს ამოწყობაში აძლევენ, შუა რიცხვი რომ ავიღოთ, 14-დგან 18 კაპეიკს. ძალიან იშვიათად მიაღწევს ხოლმე აბაზამდე. ამ უკანასკნელს ფასს იღებენ მხოლოდ კარგად მოწყობილს სტამბებში უმჯობესი ასოთ-ამწყობნი. ხშირად ფასი არის შაურზე ქვევით ჩამოდის. ეს ხომ კიდევ სულ მცირე ფასია განათლების გავრცელების შუამავლებისათვის.

ჩვენს ტფილისში ხომ უფრო ნაკლებად ჯილდოვდება ასოთ-ამწყობების შრომა. ათას ასოს ამოწყობაში მათ ეძლევათ ათიდგან თორმეტ კაპეიკამდის, რაც თვეში შეადგენს 30—40 მანეთს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„მოსკოვ. უწყებანი“ დიდის მუქარით მიჰმართავენ დღეს იაპონიას. მოაწია დრომაო, ამბობს გაზეთი, როდესაც რუსეთმა ან მარტო, ან სხვა სახელმწიფოებთან ერთად, უნდა გამოუცხადოს იაპონიას თავისი უკანასკნელი სიტყვაო. ეს სიტყვა, ეს რუსეთის ულტიმატუმი არისო: არც ერთი ციდა ჩინეთის მიწისა, არავითარი გავლენა ჩინეთის სახელმწიფოზედ! პეტრჯელ აღგვინიშნავს ჩვენს გაზეთში—თუ რა მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის ორს მუხლს ჩინეთ-იაპონიის მორიგებისას. თუ იაპონიას დაანებეს ჩინეთის პროვინციის პეჩილის ნაწილი, ჩინეთის საუკეთესო ნავთ-სადგურ-ციხეები იაპონელებისა იქნება. მაშასადამე დიდ-წყნარს ოკეანეზედ გაჩნდება მეორე ჰიბრალტარი და იაპონიის ნებაზედ იქნება—მიუშვებს თუ არა რუსეთის გემებს რუსეთის სამფლობელოს ნაპირებთან, რუსეთისნავთ სადგურში—ვლადივოსტოკში. მეორე მუხლი—ჩინეთ-იაპონიის შუა კავშირის შეკვრა—დიდს განსაცდელს უმზადებს რუსეთს და შემდეგ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც აზიაში. ამითი აიხსნება რუსეთის შეშფოთება. უკანასკნელ დღეებიდგან ვიცით, რომ რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის პროტესტი გამოუცხადებიათ იაპონიისათვის და უთხოვნიათ სიმონოსეკის ხელშეკრულობის გადათვალიერება. მოსკოვის გაზეთი თითქმის დარწმუნებულია, რომ იაპონია შეშინდება და აასრულებს რუსეთის თხოვნასაო. მაგრამ თუ აღმოსავლეთის პატარა იმპერია, წათამამებული ჩინეთზედ თავისის გამარჯვებით, არ შეშინდა და შეებრძოლა რუსეთსა, მაშინ მან აგოს პასუხი იმ სისხლის ღვრის გამო, რომელიც მოჰყვება ამ ომსაო.

„გაფრთხილდით იაპონიას—ინგლისის იმედი ტყუილად ნუ აქვს. ინგლისი ჩუმად იქნება, სანამ შეიტყობდეს, ვის დარჩება მოგება და მაშინ უფრო მძლავრს მიეკედლება. ხოლო ვინ იქნება უფრო მძლავრი—პაწაწინა იაპონია, თუ რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია, ეს თვით იაპონიამ გამოიცნოსო.“

იმავე წერილში გაზეთი ინგლისსაც ემუქრება:

„არ დაივიწყოს ინგლისმაო, რომ რუსეთიდგან ინდოეთამდე უფრო ახლოა, ვიდრე ინგლისიდგან იაპონიამდე და თუ ინგლისი მიიკედლებს იაპონიას, ჩვენი ჯარი მაშინვე ინდოეთის სამზღვარზე მიდისო.“

—

პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთობას მთელი ყურადღება იაპონიისაკენ აქვს მიქცეული; დაშორებულ აღმოსავლეთში საქმის მიმდინარეობას გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ. აი, სხვათა შორის, რასა სწერს გაზ. „გრაჟდანინი“:

„უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენის აზიის აღმოსავლეთისათვის კრიტიკული დრო დადგა.

ჩვენ მთელი წლები გულ-დამშვიდებით და უზრუნველად ვუყურებდით იაპონიის ზრდასა და არამც თუ არ გვაფიქრებდა ეს ზრდა, არამედ ჩვენს საკუთარის სამფლობელოსათვის აღმოსავლეთში არაფერს ვზრუნავდით.

და აი, ეხლა, უცბად კიდ-ფაცურდით, ათას გვარი საგანი გაგვიჩნდა. სად უნდა იდგეს ჩვენი ხომალდები აზიის წყლებში? გვაფიქრებს კორეა, რომელიც ფაქტიურად იაპონიის ხელში გადადის, გვაფიქრებს ჩვენივე სამფლობელოს აღმოსავლეთში. უფრო დაუკვირდით, რას ლაპარაკობენ იაპონელები! რუსეთისაო, ამბობენ ისინი, რამდენიც სურდეს, იმდენი მუქარა გვითხრას, ამითი ისინი ვერაფერს გაიტანენ, რადგანაც ჯერ ერთი რომ ჩვენი ძალა აღემატება იმათს ძალასა და მეორე, ინგლისი ყოველთვის ჩვენი მომხრე იქნება და რუსეთს-კი ევროპის არც ერთი სახელმწიფო მხარს არ დაუჭერსო.

ჩვენ რომ წინდაწინვე გვეზრუნა ჩვენის თავისათვის და ჩვენი ძალა აღმოსავლეთში შეგვეფარდებინა იაპონელების ძალისათვის, მაშინ იაპონია ასეთს თავხედ ლაპარაკს ვერ გაბედავდა. ან კიდევ უნდა გვეზრუნა, რომ მომხრეები გვყოლოდა. მაგრამ გვყავს-კი? სწორედ მოგახსენოთ ეს ბრძენმა პოლიტიკამ უნდა განმარტოს.

—

„Figaro“ საფრანგეთის სხვა გაზეთებთან ერთად წინააღმდეგია ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულობისა. აი, რას ამბობს, სხვათაშორის, ეს გაზეთი:

„თუ იაპონია ეცადა და თავისის შესანიშნავის ნიჭით იხელმძღვანელა აზიაში, 50 წლის უმალ უნდა გამოეთხოვოს ევროპა თავისს ახალშენებს აზიაში, ხოლო ასის წლის შემდეგ ევროპა იძულებულ იქნება ეომოს მთელს აზიას.“

„მოსკოვ. უწყებათ“ მოჰყავთ რა ეს ადგილი გაზეთ „Figaro“-დგან, თავის მხრივ დასძენენ, რომ ფრანგული გაზეთი ტყუილს ოცნებას გაუტაცნია, თუ ფიქრობს, რომ იაპონიას ასი წელიწადი დასჭირდება მონგოლთა შეერთებისა და გაწრთვნისათვისაო.

„არა, მონგოლთა თავ-დასხმას ევროპა უნდა მოელოდეს 1945 წლამდე და არა 1995 წ., როგორც საფრანგეთის გაზეთი ნუგეშობს.“

## თ. უხტომსკის აზრი აღმოსავლეთის შესახებ.

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია წერილი თავადის უხტომსკისა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს იაპონიაში მოგზაურობის დროს თან ახლდა და კარგადაცა აქვს შესწავლილი იაპონიის ვითარება. თავადი იაპონელებს ნახევარ ველურ-ხალხს უძახის, თუმცა-კი ეს ნახევარ-ველური ხალხი ამ 30 წლის განმავლობაში ისე განვითარდა ზნეობითა და შეძლებით, რომ დღეს მთელის ევროპის შეერთებული ძალაა საჭირო მათთან საბრძოლველად. თავადი უხტომსკი, სხვათა შორის, ამბობს:

„მათი (იაპონელების) სულიერი მოძრაობა, შენახვაი ინგლისელების მეოხებით, რომლებიც აქეზებდნენ ჩვენ წინააღმდეგ გამოელაშქრნათ ვითომ-და კორეს განსათავისუფლებლად, ძალიან კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენის დიპლომატიის წარმომადგენელთ აღმოსავლეთში და პატივ ცემულნი მოღვაწენი თავისს დროზედ სწერდნენ სატახტო ქალაქში ამ გვარის საქმის ვითარების შესახებ და მომავალში ცუდს გვიქადდნენ, მაგრამ ჩვენი კოსმოპოლიტები, რომლებიც მოვალენი იყვნენ ჩვენი ინტერესები დაეცვათ შორეულს აღმოსავლეთში, მეცადინეობის მაგიერ ოხუნჯობდნენ და იძახდნენ: „La chicorée m'intèress plus que la Corée“ (ციკორი მირჩევნიან კორეასო). ამისი შედეგი ის გახლავთ, რომ ომი მოხდა (თუმცა შეეძლოთ დაეკავებინათ იაპონელები, რომ ძილი არ დაეფრთხო ჩინელებისთვის) და ეს ომი ჩვენც შეტაკებამდის მიგვიყვანს... იმ „მონათ ცბიერთა და ზარმაცთა“, რომელთაც შეეძლოთ სისხლის ღვრა თავიდგან აეცილებინათ

ჩვენთვის, აგონ-მცა პასუხი ღვთის წინაშე რუსის ჯარის-კაცის წმიდა სისხლის დანთხევისათვის.

# უცხოეთი

—

**იაპონია.** სიმონოსეკის ხელ-შეკრულობის ძალით, სხვათა-შორის, იაპონელთ გემებს ჩინეთის მდინარეებზედ თავისუფლად მიმოსვლის ნება მიუღიათ. ეს პირველი სახელმწიფოა, რომელსაც ჩინეთი ასეთს უპირატესობას აძლევს.

—

**საფრანგეთი.** მადაგასკარიდგან ამბავი მოვიდა, რომლიდგანაც სჩანს, რომ საფრანგეთს უკვე დაუწყია ომი მადაგასკარელთ წინააღმდეგ. ჯარს დაუპყრია დიდი ციხე ამბოხიმარირინი და წინ წაწეულა.

—

**გერმანია.** ბერლინის პოლიტიკური წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ რადგან გერმანიაც წინააღუდგა ჩინეთ-იაპონიის ხელ-შეკრულობას, აღმოსავლეთის საქმეები უომრად გადაწყდებიანო. გარდა ამისა ბერლინის გაზეთები ჰმოწმობენ, რომ ევროპის რადიკალთა გაზეთები იაპონიის მომხრენი არიანო, რადგანაც მათ იაპონია აღმოსავლეთის განმანათებლად მიაჩნიათ.

## თეატრის მატიანე.

კვირას, 16 ამ თვისას სახელმწიფო საზაფხულო თეატრში, წარმოდგენილი იქმნა დრამა ოსტროვსკისა „გროზა“, რომელშიაც უმთავრესს როლს ასრულებდა ქ. მარტინოვისა. მისმა საუცხოვო თამაშმა, ნამეტნავად მეხუთე მოქმედებაში, ბევრს გული აუჩვილა და აატირა. მშვენივრად ჩაატარა თავისი როლი აგრეთვე ქ. ჟურავლიოვისამ. თამაშობას ხელს უწყობდნენ ყველა არტისტნი.

„გროზას“ შემდეგ წარმოდგენილი იქმნა ვოდევილი „ნა ხლებ, ნა ვოდუ“, რომელმაც მხიარულად ჩაიარა. ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა. გარდა რამდენიმე ლოჟისა მთელი დარბაზი თეატრისა გატენილი იყო.

## წერილი რედაქციის მიმართ*).

თქვენის გაზეთის „ივერიის“ მე-72 №-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია დ. ლანჩხუთიდგან ივლიანე ბეჟანის ძის მგელაძისა, რომელიც მოგვითხრობს ტუღუშის მოკვლის საქმეს და ბოლოს ამბობს:

„ხალხმა აზ. კონდრატი ჟორდანიას მეთაურობით ითხოვა გამომძიებელთან, რომ დამნაშავენი სამხედრო სამართლით დასაჯათ და გამომძიებელმა ურჩია ხალხს, რომ თხოვნა დაეწერათ და მაზრის უფროსისათვის გადაეცათ შუამდგომლობა. ხალხმა დიდის სიამოვნებით აღასრულა გამომძიებლის რჩევაო.

ეს ცნობა ყოველს სიმართლეს მოკლებულია და შეთხზულია თვით ბ-ნ კორესპონდენტისაგან.

აზ. კონდრატი ჟორდანიას მე სრულიად არ ვიცნობ; ხალხს ლანჩხუთში არ უთხოვია ჩემთვის, რომ ტუღუშის მომკვლელნი სამხედრო სამართლით გაერჩიათ და არც მე თვით მირჩევია ვისმესთვის, იშუამდგომლეთ მაზრის უფროსთან, რომ საქმე, რომელსაც მე ვიძიებდი, გარდასცემოდა სამხედრო სამსჯავროს. ყველამ კარგად იცის, რომ ამნაირს თხოვნას გამომძიებელი ვერ მიიღებს; ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ხალხის ამნაირს თხოვნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის გარდაწყვეტის დროს, თუ რომელი საქმე უნდა გაარჩიოს სამხედრო სამსჯავრომ. ასეთი საგანი უნდა გარდასწყვიტოს უმაღლესმა ადმინისტრატიულმა დაწესებულებამ უკვე ცნობილ, მტკიცედ განმარტებულ სავალდებულო კანონთა შესაფერად და თვით დანაშაულის გარემოებათა განხილვის შემდეგ, და არა ხალხის სურვილისამებრ.

მაშ რად უნდა მერჩია ხალხისათვის ის, რაც ჩემს უფლებათა სფერას არ ეკუთვნის და რაც ხალხის სურვილისა და აღელვებულის გრძნობის დასაკმაყოფილებელ საგნად, გზად არ მიმაჩნია?

მახსოვს მხოლოდ, რომ როდესაც მე ლანჩხუთში მივედი მოკლულის ტუღუშის საქმის გამოსაძიებლად და მოკლულიც ნახეს, ადგილობრივმა პოლიციის ბოქაულმა გადმომცა, სხვათა შორის, რომ ხალხი ძლიერ აღელვებულია ამ საზარელის ამბის გამო და თხოვნას ჰგზავნის მაზრის უფროსთან, რომ საქმე გარდაეცეს სამხედრო სამსჯავროს. ასე რომ გზის ჩვენებაც-კი ჩემთვის ხალხს არ უთხოვნია. ამისთანა გზა ეხლა არა მოხელეთაგანმაც ბევრმა იცის.

ზემო-მოყვანილმა კორესპონდენციამ მისცა მიზეზი ბ-ნს ლალს თქვენის გაზეთის იმავე ნომრის მეთაურ წერილში საქვეყნოდ დაემტკიცებინა დანაშაულობა გამომძიებლისა იმ დროს, როდესაც 1864 წლის ახალ სასამართლოებს „გაჭირვების დღე დაადგა“. სასიამოვნოა, ფრიად საქებია; მხოლოდ ჩემზედ ტყუილ-უბრალოდ გამოლაშქრებით თავისს საგანს შორს ასცილდა, რადგან ხსენებულს საქმეში მე არავითარი მონაწილეობა არა მაქვს.

დასასრულ ბ-ნი ლალი ასე აბოლოვებს თავისს წერილს: „უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ყველა დაწესებულებათა მოხელენი,—მაშასადამე ყველგან და ლანჩხუთშიაც, არა?—თავის მოვალეობის აღსრულების დროს პოლიტიკურის მოსაზრებანით ხელმძღვანელობენ და არა მხოლოდ თვით საქმის გარემოებითო“. ეს შენიშვნა ბ-ნის ლალისა, თუ-კი დაუფიქრდებით, იმედი მაქვს, უადგილოცაა და უსაფუძვლოც.

ჩოხატაურის გამომძიებელი თავ. ალექსანდრე ლორთქიფანიძე.

ჩოხატაური, 12 აპრილი, 1895 წ.

*) რედაქცია სიამოვნებით ჰბეჭდავს თავადის ალექსანდრე ლორთქიფანიძის პასუხს, რომლისაგან სჩანს, რომ ლანჩხუთიდგან მოწერილი ამბავი დასტამბული „ივერიის“ მე-72 №-ში დამოწმებული და ბეჭედ-დაკრული მამასახლისისაგან მართალი არ ყოფილა.

მაგრამ თავადი ლორთქიფანიძეც უნდა დაგვეთანხმოს თავისის მხრით, რომ რედაქციას არ შეეძლო მსგავსი წერილი უყურადღებოდ დაეგდო მით უმეტეს, რომ სოფლის მოხელის მოწმობა საფიქრებელია, რომ რამედ უნდა ღირდეს?!

რედ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 აპრილი.

**პეტერბურგი.** გაზეთ „ოკრაინა“-ს გაუგონია, რომ უმაღლესს მთავრობას წარედგინა პროექტი თურქესტანისა და ციმბირს შუა რკინის გზის გაყვანის შესახებაო.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ რკინის გზაზედ საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვის ფასების დამდგენელს კომიტეტს გარდაუწყვეტია ბაქოდგან ბათუმამდის ნავთის გადაზიდვისათვის ფასები მოუმატოს. არსებული გარდასახადი 9 კ. ფუთზედ, გამოცხადების შემდეგ სამი კვირა რომ გაივლის, შეიცვლება 14-ად, ხოლო ივლისიდგან ეს გარდასახადი 19 კაპ. გახდება. ამავე კომიტეტს გარდაწყვეტილი ფასები დაუდგენია დიდის სისწრაფით გადასაზიდ საქონლისათვის.

**როსტოვი-დონისა.** სრულიად სომხეთის პატრიარხმა, რომელიც ამ ჟამად ნახიჩევანში იმყოფება, ალექსანდრე მესამის სახელობაზედ ძეგლის ასაგებად ფეოდოსიაში 500 მანეთი შესწირა.

**ლონდონი.** შანხაიდგან იუწყებიან, რომ რუსეთმა ურჩია ჩინეთს, ზავის პირობების დამტკიცება რამდენიმე დღით გადასდოო.

იოკაჰამადგან ხმა მოვიდა, რომ იაპონიის საპოლიტიკო წრეებს სრული იმედი აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატების რჩევისა და დახმარებისა, რადგანაც სიმონოსეკში მომხდარი ხელ-შეკრულობა ამ ქვეყნისათვის დიდად სასარგებლოაო. ამბობენ, ვითომც ინგლისსა და იტალიას გამოეცხადებინოთ, რომ საფრანგეთისა, გერმანიისა და რუსეთის პროტესტს ჩვენ არ მივემხრობითო.

17 აპრილი.

**პეტერბურგი.** „ნოვოსტებს“ გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭოში დამტკიცდა, რათა იმპერიის მცხოვრებთა აღწერა მოხდეს.

**პარიზი,** 16 აპრილს. ეპინალიდგან იწერებიან, რომ ბავზეს აღმოსავლეთის არხის სათავე გაგლეჯილა, რომლის გამო წყლით დაიფარა მთელი ეს არე-მარე. ოთხი პატარა ქალაქი დააზიანა წყალმა, 100 კაცი დაიღუპა. ზარალი წყლისაგან 50 მილ. ფრანკია.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სტეროვან შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაშვლიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. ბ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. ბ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

მეფე დავით აღმაშენებელი

და იმისი დრო

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

ფასი ორი აბაზი

CURBAINE

УРБЭНЪ

Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს. (40—3)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონებას დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეუყენებელ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—»)